მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი
თამუზი
№7 (418)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

დღეს ნომერშია:

ქართველი ებრაელები შორეულ არგენტინაში გვ. 2

„მენორას“ შეკითხვებს პასუხობს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში — ბ-ნი პაატა კალანდაძე გვ. 3

ბ-ნი იუვალ ფუქსი — ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კადენციის დასრულების წინ „მენორასთან“ საუბრაში აცხადებს, რომ... გვ. 4

კონსტანტინე ლერნერი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი



კვლავ ვისმენთ სოსო ბარდანაშვილის მუსიკას

ელენე ბერკოვიჩს მადლობას მოახსენებენ გვ. 6

არიელ ლევინი კვირის ფარაშაზე ქუთაისიდან ბათ-იამში წასულთ გვენატრებითო, მისძახიან გვ. 7

ინფორმაციები გვ. 8

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

„ქართველი ებრაელების 26 საუკუნოვანი ისტორია“

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ არგენტინის დედაქალაქში — ბუენოს-აირესში გაიხსნა ფოტოგამოფენა საქართველოს ებრაელობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის თხოვნით არგენტინაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი ქეთი საბაური გაესაუბრა არგენტინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბ-ნ გელა სეხნიაშვილს. ქ-ნ ქეთის თანადგომისათვის მადლობას მოვახსენებთ და გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

— ბატონო გელა, რას იტყოდით, ქართველ ებრაელობაზე გამოფენის გახსნის თაობაზე?

— ამ გამოფენისათვის მზადებას მიმდინარე წლის დასაწყისში შევუდექით. სერიოზულად ვემზადებოდით — საქართველოში ებრაელთა 26 საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრება ხომ საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი და ერთობ მნიშვნელოვანი ფენომენია. გამოფენისათვის მზადების თვეებში მივმართეთ საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციებს, გვქონდა ურთიერთობა არგენტინის ებრაულ ორგანიზაციებთან, არგენტინაში მცხოვრებ ქართველ ებრაელობასთან — წინა საუკუნეში ამ ქვეყანაში ქართველ ებრაელთა გარკვეული ნაწილი ჩამოსახლდა.

***— როდის და სად გაიხსნა გამოფ**ენა?*

— გამოფენა სახელწოდებით „ქართველი ებრაელების 26 საუკუნოვანი ისტორია“, გაიხსნა მიმდინარე წლის 9 ივნისს არგენტინის გენერალური არქივის საგამოფენო დარბაზში. გამოფენის ორგანიზატორი, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს საელჩო გახლდათ, მაგრამ ამ საქმეში გვერდით დაგვიდგა და გამოფენას სხვა ორგანიზაციებთან ერთად — ერთობლივად ვამზადებდით. ესენია: საქართველოს ეროვნული არქივი, არგენტინაში ებრაული თემის წარმომადგენლობითი ორგანო DAIA, არგენტინის გენერალური არქივის, არგენტინის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბუენოს-აირესის ჰოლოკოსტის მუზეუმი.

— რამდენ ხანს გაგრძელდა გამოფენა?

— გამოფენა 24 ივნისს დაიხურა.

— რა ხასიათის ექსპონატები გახლდათ წარმოდგენილი?

— გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი ებრაელების ყოფის ამსახველი ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა, მათ შორის, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმში დაცული გრამფირფიტების (ებრაული საგალობლების) ციფრული ვერსიები, ასევე ნაჩვენები იქნა 1932 წელს შექმნილი მუნჯი ფილმი „ქართველი ებრაელები“, სადაც აქცენტი გაკეთებულია ებრაელთა ყოფაზე.

— ალბათ, გამოფენის გახსნისას წარმოდგენილი გახლდათ არგენტინის საზოგადოებრიობა.

— დიახ, ცხადია, გამოფენა მე გავხსენი, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს არგენტინაში ებრაული თემის წარმომადგენლობითი ორგანოს DAIA-ს პრეზიდენტმა — **არიელ კოჰენ საბანმა**, არგენტინის გენერალური არქივის პრეზიდენტმა **ემილიო პერინამ**. გამოფენას ასევე ესწრებოდნენ გასულ საუკუნეში არგენტინაში დასახლებული ქართველი ებრაელების — **შაფთოშვილებისა** და **ეხისკელაშვილების** შთამომავლები.

— თუ იყო რაიმე საინფორმაციო გამოხმაურება?

— გამოფენის თაობაზე ინფორმაცია განთავსდა არგენტინაში ებრაული დიასპორის გაზეთ VISAVIS-ში, როგორც გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ასევე გამოფენის გახსნის შემდეგ, როგორც უკვე ჩატარებული ღონისძიება. გთავაზობთ მისამართებს, სადაც შეგიძლიათ იხილოთ ეს მასალები:

http://visavis.com.ar/?p=57960
http://visavis.com.ar/?p=58074

ინფორმაცია ასევე დაიდო არგენტინაში ებრაელთა თემის პოლიტიკური წარმომადგენლობის DAIA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ასევე ფეისბუქზე): http://www.daia.org.ar/2013/noticia.php?id=10443#.V17HqtIrLZ5

მიმდინარე წლის 24 ივნისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, **თეა წულუკიანმა** ოფიციალურად დახურა არგენტინის გენერალურ აქრივში არსებული გამოფენა „ქართველი ებრაელების 26 საუკუნოვანი ისტორია“, დახურვას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი არგენტინაში, გელა სეხნიაშვილი, არგენტინაში ებრაული თემის წარმომადგენლობითი ორგანო DAIA-ს პრეზიდენტი არიელ ქოენ საბანი, არგენტინის გენერალური არქივის პრეზიდენტი ემილიო პერინა და ბუენოს-აირესის ჰოლოკოსტის მუზეუმის ხელმძღვანელი **გუსტავო საკალი**.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითად მადლობას მოახსენებს ბ-ნ გელა სეხნიაშვილს ამ ჩინებული გამოფენის ორგანიზების გამო.

„მენორას“ შეკითხვებს პასუხობს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში — ბ-ნი პაატა კალანდაძე

1. სხვადასხვა წყაროებით ცნობილი გახდა, რომ 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თელ-ავივში ჩინებულად აღინიშნა. თქვენი ორგანიზატორული ნიჭის ბევრი ქება მოვისმინეთ. გილოცავთ! ახლა კი ასეთი შეკითხვები:

2. როგორ შეაფასებდით საქართველო-ისრაელის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დღევანდელ დონეს?

3. რამდენად სოლიდარულია ისრაელ-საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამრომლობა?

4. ბოლო წლებში ისრაელელელებმა აღმოაჩინეს, რომ საქართველო გაცილებით საინტერესო ქვეყანაა, ვიდრე აქამდე ეგონათ. გაიზარდა ტურიზმი. ისრაელიდან საქართველოში ათობით რეისი სრულდება და არა მხოლოდ თბილისში, ბათუმსა და ქუთაისშიც კი, არა მხოლოდ საქართველოს ავიაკომპანიები, ისრაელის კომპანიებისაც. ამ სასიამოვნო გარემოებამ ითამაშა თუ არა, რაიმე როლი ბიზნესურთიერთობის განვითარებაში?

5. ბოლო ორი წლის განმავლობაში როგორია ისრაელიდან ინვესტიციების მაჩვენებელი?

6. იქნებ, ისრაელში ქართული კულტურის პროპაგანდის საკითხზეც ვისაუბროთ — რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? ვგულისხმობთ ქართულ კინოს, ფერწერას, ვოკალურ, საშემსრულებლო ხელოვნებას, მწერლობას.

7. შეინიშნება თუ არა რაიმე თვისობრივი სიახლე ისრაელის ქართველ ებრაელობაში? ეს საყურადღებოა, იმდენად რამდენადაც ასპარეზზე გამოდის საქართველოდან ემიგრირებულთა შვილების, შვილიშვილების თაობა.

დიდი მადლობა მოლოცვისათვის. როგორც იტყვიან, მრავალს დავესწროთ და რაც მთავარია, ყოველ წელს ვიყოთ მოწმენი ჩვენი ქვეყნების წინსვლისა და განვითარებისა. გიდასტურებთ, რომ ა.წ. 25 მაისს, ქ. თელ-ავივში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა საზეიმო ღონისძიებამ მართლაც, რომ ჩინებულად ჩაიარა - ჩვენ ვუმასპინძლეთ 290 სტუმარს. საზეიმო ღონისძიებას დაესწრო ისრაელის სახელმწიფოს თითქმის ყველა სოციალური წრის წარმომადგენელი, გვყავდა ბევრი სტუმარი საქართველოდანაც. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ღონისძიებაზე ქ. თბილისიდან საგანგებოდ იყო მოწვეული ქართველ მომღერალთა ჯგუფი „ალილო“, რომელმაც სტუმრები მოაჯადოვა ქართული და ებრაული სიმღერებით და რა თქმა უნდა, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ქართულმა ღვინომ;

1-2. საქართველო-ისრაელის ურთიერთობები ძალზე პოზიტიურად ვითარდება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებს შორის. საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს დონზე ურთიერთობები მოტივირებულია იმ განწყობით, რომელიც დღეს არსებობს ორი ქვეყნის ხალხებს შორის. ეს არის ურთიერთობები, პატივისცემასა და დიდ სიყვარულზე დაფუძნებული. კავშირები კიდევ უფრო ვითარდება იმის გათვალისწინებითაც, რომ დღეისათვის საქართველო ისრაელელებისათვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული დასასვენებელი ადგილი გახლავთ. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, მიმდინარე წლის დასაწყისში, ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი მედია საშუალების მიერ ჩატარებული გამოკითხვაც, რომლის მიხედვით ადგილობრივმა მოსახლეობამ საქართველო, ისრაელის სახელმწიფოს მეგობართა ხუთეულში შეიყვანა;

3. როდესაც ვსაუბრობთ, ორი ქვეყნის თანამშრობლობაზე, რა თქმა უნდა ვგულისხმობთ, არა მარტო ორმხრივ თანამშრომლობას, არამედ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატსაც. მაგალითად, გასულ კვირას, პირველად ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში, გაერო-ს სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელი, ელჩი დანი დანონი. სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ამ გადაწყვეტილებას მხარი საქართველომაც დაუჭირა;

4. ქართული კულტრის პროპაგანდა - რა თქმა უნდა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარ მიმართულებას კულტურა წარმომადგენს. ყოველწლიურად, ე.წ. „კულტურული აფიშა“ ძალზედ საინტერსო და მრავალფეროვანი ხდება. ამის დასტურად მინდა მოვიყვანო, ცნობილი ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათაშვილის კონცერტი თელ-ავივის ფილარმონიაში, რომელიც მან მსოფლიოში ცნობილ დირიჟორ ზუბი მეტასთან ერთად გამართა. გარდა ამისა, ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეგასი“ მ.წ. ივლისის თვეში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართავს კონცერტებს;

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი სიამაყით აღვნიშნო, ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, შოთა არველაძის, საფეხბურთო კლუბ „მაკაბი თელ-ავივი“-ს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა. ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ შოთა არველაძეს წარმატებებს;

5. აბსოლუტური პასუხიმგებლობით მინდა განვაცხადო, ის დიდი წარმატებები, რომლებსაც აღწევენ ისრაელში მცხოვრები ქართველ-ებრაელთა თემიდან გამოსული ახალგაზრდები. დიდი სიხარულით ვაცხადებ, რომ ისინი საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან. განსაცვიფრებელია მათი მიღწევები ისრაელის სახელმწიფოს განვითარების დღევანდელობაში. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი მას შემდეგ, რაც მერგო პატივი დავსწრებოდი ქ. ბათიამის ქართული კულტურის ცენტრში ქალბატონი ლია კრიხელის მიერ ორგანიზებულ საღამოს სახელწოდებით „გაიცანით ჩვენი შვილები“. აღნიშნული პროექტი, ეძღვნება ქართველ-ებრაელთა თემის ახალგაზრდა თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობით უკვე დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

ისრაელის პრეზიდენტი რივლინი: საფრანგეთის ინიციატივა ისრაელსა და პალესტინას ერთმანეთის აშორებს

ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა 22 ივნისს ბრიუსელში, ევროპარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა და ევროპიელ პარლამენტარებს მოუწოდა ევროპის ქვეყნებმა ყოველი ღონე იხმარონ ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის ნდობის დასამყარებლად.

— რამდენიმე დღის წინათ მიღებული საფრანგეთის ინიციატივა, ფუნდამენტალური ნაკლოვანებების მატარებელია, იმის ცდა,რომ მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ, კი არ დაგვაახლოვებს, პირიქით, გვაშორიშორებს.

ისრაელის პრეზიდენტმა ჩამოთვალა სამი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის მიუღებელი საფრანგეთის ინიციატივა: პირველი გახლავთო პალესტინის ავტონომიაში — იუდეისა და სამარიის ტერიტორიაზე განხეთქილება ხამასსა და ავტონომიის ხელმძღვანელობას შორის. ხამასი ისრაელის მოსპობას ესწრაფვისო. რივლინის აზრით, მეორე მიზეზია ეკონომიკური განსხვავებულობა, რომელიც არასტაბილურობის სათავეა, მესამე: ძალადობა და ამ ორ მხარეს შორის უნდობლობა.

ისრაელის უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგი

ისრაელის 500 უმდიდრესი ადამიანის სია გამოაქვეყნა საქმიანმა გამოცემამ TheMarker-მა, რუსულენოვან ებრაელთაშორისმეორე ადგილზე აღმოჩნდა საქართველოში დაბადებული მიხეილ, მირილაშვილი და მისი ვაჟი — ვიაჩესლავი. სხვა რუსულენოვანი მდიდარი ბიზნესმენები ამ ოჯახს საგრძნობლად ჩამორჩებიან. გამოცემის აზრით, მათი ქონება 2.3 მილიარდ დოლარს შეადგენს. შარშან ისინი 50 მილიონით ნაკლებ ქონებას ფლობდნენ. მირილაშვილების შემდეგ რუსულენოვანი მდიდარი ბიზნესმენი ლეონიდ ნევზლინი მეხუთე ათეულში აღმოჩნდა — მას 700 მილიონი აქვს და 48-ე ადგილზეა. 67-ე ადგილზე აღმოჩნდა ლევ ლევაევი — 450 მილიონით. TheMarker-ის ინფორმაციით ერთი წლის განმავლობაში მან 300 მილიონი დაკარგა.

მირილაშვილების ოჯახზე TheMarker-ის ინფორმაცია ერთობ თავშეკავებული უნდა იყოს. შარშან ჟურნალმა „ფორბსი“ მხოლოდ ვიაჩესლავ (იცხაკ) მირილაშვილის ქონება 950 მილიონი დოლარით შეაფასა. ხოლო ამ ჟურნალისავე შეფასებით, შარშან ლევ ლევაევი ერთი მილიარდის ქონებას ფლობდა.

„მენორას“ შეკითხვებს პასუხობს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში — ბ-ნი იუვალ ფუქსი

საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი თავის კადენციას ამთავრებს და მალე დატოვებს ჩვენს ქვეყანას. „მენორა“ გამგზავრების წინ ეწვია ბ-ნ ელჩს და გაესაუბრა საქართველოში მუშაობის თაობაზე:

— რამდენი წელი გაატარეთ საქართველოში და რომელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, შემოქმედებითმა მოვლენამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— მე ჩამოვედი საქართველოში 2012 წლის ზაფხულში. ოთხი წელიწადია აქ ვარ და თუ რამდენიმე ასე თუ ისე მაინცდამაინც ნათელ პოლიტიკურ-სოციალური ამბის გამოყოფას მთხოვთ, მე შემიძლია ვთქვა, რომ 2012 წელს მოგეხსენებათ, საქართველოში იყო ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები, რასაკვირველია, ეს არ იყო ერთადერთი არჩევნები, რომელიც ჩემი ყოფნის განმავლობაში ჩატარდა საქართველოში — იყო საპრეზიდენტო, მუნიციპალური არჩევნები და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფდი საპარლამენტი არჩევნებს. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, აქ ორი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ამ პერიოდში. ეს იყო ორი ოპერაცია, რომელიც ჩატარდა ტერორიზმის წინააღმდეგ ისრაელში, ეს იყო 2012 წლის ნოემბერში და 2014 წლის ზაფხულში. ეს იყო ორი ოპერაცია, როგორც გითხარით, და ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი ისრაელის თავდაცვის თვალსაზრისით. რასაკვირველია, ამ ოპერაციების დროს დაიღუპა ძალიან ბევრი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლეობა ისრაელში. თუმცა, ეს იყო აუცილებელი თავდაცვისთვის. აღვნიშნავდი ხაზგასმით საქართველოს ცალსახა მხარდაჭერას ისრაელის უფლებას დაიცვას საკუთარი თავი ტერორიზმისაგან და დაიცვას საკუთარი თავი იმ ბომბებისგან, ჭურვებისგან და იმ შემოტევებისგან, რომლებიც მოდის ღაზის სექტორის მხრიდან.

— ტერორიზმის პრობლემა კვლავაც აქტუალურია მთელ მსოფლიოში. გუშინ ცუდი ფაქტი მოხდა ისრაელში. რა კომენტარს გააკეთებდით ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— ტერორიზმი მახსოვს დაბადებიდან და ტერორიზმი იყო აქტუალური პრობლემა სამწუხაროდ, ჩემი მშობლებისთვისაც. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი და მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო შეუერთდა საერთაშორისო საზოგადოებას და დაგმო ტერორისტული შეტევა ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც დაგმო ტერორიზმი და ასევე სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებს. ამას გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის კოლეგას ისრაელში გაუგზავნა წერილი. რეაგირება მოხდა ასევე გაეროს გენერალური მდივნის მხრიდან. ასევე განცხადება გააკეთა ჰილარი კლინტონმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ძალიან ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა თავისი პოზიცია ტერორიზმის წინააღმდეგ და მათ შორის იყო საქართველო. პალესტინელებმა მიიღეს მკაფიო მესიჯი იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორიზმი ვერ მოიტანს ვერანაირ შედეგს. ტერორიზმით არ შეიძლება მიღწეულ იქნას პოლიტიკური მიზნები და საერთაშორისო საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას სწორედ ეს, რომ ვინმეს ჰქონდეს ილუზია, რომ პოლიტიკური მიზნების მიღწევა შესაძლებელია ტერორიზმით. ნებისმიერი უთანხმოება, ნებისმიერი პრობლემა, ნებისმიერი კონფლიქტი უნდა გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი გზით და არა ტერორიზმით. გუშინდელ ფაქტს პალესტინაში შეხვდნენ ზეიმით. განსაკუთრებით „ჰამასი“ აქტიურობდა ამ თვალსაზრისით და ისინი ტკბილეულობას არიგებდნენ მოსახლეობაში იმის აღსანიშნავად რაც მოხდა ისრაელში. პალესტინამ აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს, სად დგანან, რა უნდათ, რა არის მათი მიზანი. მათი მიზანი არის ტერორიზმის წაქეზება, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღწევა და პოლიტიკური შედეგის მიღება და ასევე უნდა გააცნობიერონ ის, რომ არსად, არც ახლო აღმოსავლეთში, არც კავკასიაში, არც საქართველოში ტერორიზმი ვერ მოიტანს შედეგს.

— საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს გაეცანით. რომელ მხარეში მიღებული შთაბეჭდილება გაგყვებათ თან?

— სწორედ აღნიშნეთ. მართლაც, თითქმის ყველა რეგიონს ვეწვიე, იმიტომ რომ ძალიან მიყვარს მოგზაურობა. ახლახანს ჩამოვედი ბათუმიდან. იქ გარემოს დაცვის მინისტერიალზე ვიმყოფებოდი. ბათუმიდან თბილისისკენ რომ მოდიხარ, პრინციპში მთელი საქართველო უნდა გაიარო. მოკლედ შესანიშნავი, ულამაზესი ქვეყანა გაქვთ. მიყვარს მისი სილამაზე, სურნელი. მიყვარს მთები, მდინარეები. რასაკვირველია, მიყვარს ქართული სამზარეულო, ღვინო - კახეთში, აჯიკა - სამეგრელოში. გული მწყდება, რომ არის რაღაცა კიდევ პატარა კუნჭულები, სადაც არ ვარ ჯერ ნამყოფი და იმედი მაქვს, რომ ვიხილავ აუცილებლად. შესაძლებელია არა ელჩის რანგში, არამედ მომავალში დავბრუნდები საქართველოში ტურისტად და აუცილებლად მოვინახულებ ამ კუთხეებსაც. თქვენი კითხვა იყო, - რას წავიღებ ისრაელში? პასუხი არის ასეთი - საქართველოს ბუნების სილამაზეს და ხალხის სილამაზეს.

— რა მოგწონთ საქართველოში, ქართველი ხალხის რომელ თვისებას გამოყოფდით?

— ქართველები ძალიან ჰგავხართ ისრაელელებს. ძალიან თბილი, ბედნიერი, ხანდახან ხმაურიანიც და ღია ხალხი ხართ, რომელთაც უყვართ საკუთარ მოსაზრებაზე დარჩენა. იგულისხმება ის, რომ დაცვა საკუთარი მოსაზრების, გამოხატვა ღიად და გარკვევით და სწორედ ეს თვისებები მომწონდა მანამდეც სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი ელჩად. უბრალოდ რომ შევაჯამოთ, თვისება, რომელიც მომწონს ეს არის ღიაობა და საკუთარი აზრის ქონა, რაც აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და მეორე, რასაკვირველია, ეს არის სტუმართმოყვარეობა, რომელშიც ნამდვილად ბადალი არ გყავთ.

— თქვენ საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი პიროვნება ბრძანდებით. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ - საინტერესოა მეგობრის შენიშვნა - რა არ მოგწონთ საქართველოში?

— არ მომწონს საგზაო მოძრაობა. ვგულისხმობ მძღოლების კანონდაუმორჩილებლობას. იქნება ეს თბილისში, თუ მის გარეთ. ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოულოდნელად შეიძლება მოხდეს უბედური შემთხვევა. ვისურვებდი, რომ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანები მანქანის მართვას. უფრო ყურადღებით იმიტომ, რომ ამაზე არის დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლე. შესაძლებელია ყურადღება არ არის ერთადერთი პირობა იმისა, რომ აღარ მოხდეს უბედური შემთხვევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რადიკალურად შემცირდება ის უბედური შემთხვევები, რომლებიც საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოში მძღოლების უყურადღებობის გამო.

— ისრაელში დაბრუნების შემდეგ თქვენი ქვეყნის ხელისუფლებას რა რჩევას მისცემდით - საქართველოსთან ურთიერთობისას რაზე გაამახვილებინებდით ყურადღებას? რომელ სფეროებში შეიძლება ითანამშრომლონ ამ სახელმწიფოებმა?

— მე მგონია, რომ უნდა გაგრძელდეს ის,რასაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ვაკეთებდით. რასაკვირველია, აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ ფორმატებზე, რომელიც მოგვცემს საშუალებას მთავრობებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სტრუქტურულად რაღაც მექანიზმების შექმნას. რასაკვირველია, როდესავ ვამბობ მთავრობათშორის ფორმატებს არ გამოვრიცხავ არაფრის დიდებით ბიზნესსა და საქმიან და სამოქალაქო სექტორს. თუმცა, დიდი ყურადღება ასევე უნდა მიექცეს სამთავრობო სექტორსაც. ეს რაც შეეხება, ფორმატების თვალსაზრისით თანამშრომლობას. რაც შეეხება კონდენტიალურ მხარეს ამ საკითხის მე მგონია, რომ სოფლის მეურნეობა ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა საქართველოსთვის, რომელშიც შეიძლება ითანამშრომლონ ისრაელმა და საქართველომ. ასევე გამოვყოფდი და აღვნიშნავდი ინოვაციებს. ახალი სფეროა ასეთი, კიბერუსაფრთხოება, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა და სამომავლოდაც გაგრძელდება სავარაუდოდ და აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური დიალოგი უნდა იყოს მუდმივი, როგორიც არის ასევე უნდა გაგრძელდეს თუ არა უნდა გაღრმავდეს კიდეც. მოგეხსენებათ, სენსიტიურ სამეზობლოში გვიწევს ცხოვრება როგორც თქვენ, ასევე ჩვენ და ეს დიალოგი აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს.

— კმაყოფილი ხართ თუ არა, თქვენი მუშაობით საქართველოში. აქ ყოფნის, შრომის რომელ ეტაპს გამოყოფდით. რას მიიჩნევთ თქვენს გამარჯვებად ამ წლებში, თქვენ რომელ წამოწყებას?

— ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში, რასაკვირველია, გამოვყოფდი უვიზო რეჟიმის დაწესებას, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს მოქალაქეებს. რასაკვირველია, იყო სხვა დოკუმენტებიც, რომელსაც ხელი მოეწერა და ჩემთვის როგორც დიპლომატისათვის და პროფესიონალისთვის, ეს დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, დანაშაულთან ბრძოლის შეთანხმება ან სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებსაც ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობის სფეროში, მაგრამ ეკონომიკისთვის, ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც უვიზო რეჟიმის დაწესება იყო. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ სისწრაფეს, რომლითაც მოხდა ამ დოკუმენტის ხელმოწერა. იმდენად მალე მოხდა ეს, რომ მე თვითონ გამიკვირდა. მიუხედავად იმისა, რომ როდესაც საქართველოში დიპლომატად მოვდიოდი უვიზო რეჟიმის დაწესება იყო ჩემი ერთ-ერთი პუნქტი ჩემს სამოქმედო გეგმაში. ძალიან ბევრი რამ ვისწავლე აქ განვითარების მენეჯმენტის, ასე ვთქვათ, თვალსაზრისით. განსაკუთრებით სოფლის მეურნეო-

ბაში. ანუ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობა შევისწავლე საკმაოდ კარგად, არამედ რაღაცა კონკრეტული სფეროს დახმარების თვალსაზრისით ზოგადად კარგი ცოდნა მივიღე. დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს უფრო მეტი ისრაელის კომპანია, ვიდრე ადრე იყო. აი ახლახანს სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, სატელეფონო საუბარი გვქონდა სწორედ „ნეტაფინთთან“, რომელიც არის ისრაელის წვეთოვანი საირიგაციო სისტემის კომპანია. ასევე აქ მუშაობს „ისრაგრინი“. ძალიან ბევრი აგრონომი ჩამოდის ისრაელიდან უმთავრესად „მაშავის“ პროგრამის ფარგლებში და ზოგადად, რომ ვისაუბროთ საქართველოს გამოწვევები სოფლის მეურნეობის კუთხით ისრაელში უკეთ არის დასანახი. ანუ უკეთ იცის ისრაელმა რა გამოწვევები აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში ახლა, ვიდრე ეს იყო ვთქვათ, ოთხი წლის წინათ. თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მოხდა, ეს იყო უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველოდან ისრაელში მოგზაურობის მსურველებისთვის.

— საქართველოში ითარგმნება და გამოიცემა თანამედროვე ისრაელის ლიტერატურა, რასაც ვერ ვიტყვით ქართული მწერლობის ისრაელში თარგმანისა და გამოცემის შესახებ. არის თუ არა რაიმე პერსპექტივა იმისა, რომ ეს ხარვეზი შეივსოს?

— ჩვენ ძალიან ვამაყობთ იმ სამუშაოებით, რომელიც შევასრულეთ აქ ყოფნის განმავლობაში, ანუ ოთხი წლის განმავლობაში. რასაკვირველია, სურვილი მექნებოდა, რომ ბევრად მეტი გაკეთების შესაძლებლობა ყოფილიყო, მაგრამ რაც გავაკეთეთ, არც ის იყო ცუდი. მაგალითად, ლიტერატურა ახსენეთ და ახლახანს ითარგმნა ისრაელელი მწერლის ედგარ კერეტის ნოველების კრებული. ჩამოსულიც იყო ეს ავტორი. ჩვენ ვმუშაობთ არა მხოლოდ ლიტერატურის კუთხით, ჩვენ მოვიცავთ კულტურის სხვადასხვა სფეროებს. მაგალითად, მუსიკას თუ შეეხება - ჩვენ ვცდილობთ, რომ ქართველმა მელომანებმა გაიცნონ ისრაელის კლასიკური მუსიკა, როკი, ჯაზი, მოდერნი, ასევე მომავალ კვირას თანამედროვე ცეკვის დასი „ვერტიგო“ წარსდგება ქართველი ხელოვნების მოყვარულების წინაშე. ასევე ვიზუალურ ხელოვნებაშიც ვცდილობთ, რომ საქართველომ გაიცნოს ისრაელის შემოქმედება. ახლახანს ეროვნულ მუზეუმში გამოფენა იყო. ვთანამშრომლობთ კინემატოგრაფიის დარგში, ყველა ფესტივალთან თუ რამე არსებობს საქართველოში, იქნება ეს თბილისის ფესტივალი, ბათუმის სტუდენტური, დოკუმენტური თუ სხვა. არ მინდა ვინმე გამომრჩეს და ვაწყენინო. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი, როგორც ისრაელის ელჩის, მოვალეობა საქართველოში და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანი არის ის, რომ ისრაელის კულტურა გაიცნონ საქართველოში და თანხას სწორედ ამაში ვაბანდებთ. მიხარია, რომ ამ წლების განმავლობაში ჩვენი კულტურული პროექტების ბიუჯეტი ბევრად გაიზარდა, გაორმაგდა და ამას ჩვენ სიამოვნებით ვაკეთებთ შესანიშნავ პარტნიორებთან ერთად, - ეს იქნება კულტურის სამინისტრო, თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფესტივალები თუ სხვა პარტნიორები. რაც შეეხება ქართულ კულტურას ისრაელში. მოგეხსენებათ, რომ ნაციონალური ბალეტი ჩადის იქ, სხვადასხვა ანსამბლები ჩადიან, მარჯანიშვილის თეატრი რამდენიმეჯერ არის ნამყოფი ისრაელში, ვახტანგ კახიძე ბევრჯერ არის ნამყოფი და კვლავინდებურად წავა კიდევ. ლიტერატურას რაც შეეხება, თუმცა გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის ისრაელში. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი სამუშაო, ჩემი უშუალო მოვალეობა აქ არის ისრაელის კულტურის გაცნობა საქართველოსთვის.

— როგორ შეაფასებდით საქართველოსა და ისრაელის თანამშრომლობას საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებში - ამ ბოლო წლებში ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს ისრაელის საწინააღმდეგო რეზოლუციისთვის მიეცეს ხმა, ან ისრაელს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ემოქმედოს?

— ჩვენ გვაქვს საკმაოდ ღრმა, ყოველდღიური დიალოგი. მაგალითად, გუშინაც ვესაუბრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც საკმაოდ კარგი ამბავი მამცნო. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის დიალოგი. თუმცა ნებისმიერი ერი და ნებისმიერი ქვეყანა საკუთარი ინტერესებიდან, საკუთარი აღქმიდან გამომდინარე მოქმედებს ყოველთვის. და იმ სიტუაციის მიხედვით მოქმედებს, რომელიც მის ინტერესებში შედის, მისთვის არის მისაღები. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ღია საუბარი გვაქვს და შესაძლებელია გარკვეულ საკითხებში რაღაც განსხვავებულად მივცეთ ხმა რაღაცის გატანას ან არ გატანას. ამას რეზოლუცია გულისხმობს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ზოგადად ჩვენ გვაქვს კონსტრუქციული, ყოველდღიური დიალოგი და ჩვენ მივიჩნევთ საქართველოს ახლო და ძალიან მნიშვნელოვან მეგობრად, რომელსაც შეგიძლია მიმართო იმისათვის, რომ მან საკუთარი მხარდაჭერა გამოხატოს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 99% იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც იქნება მიღებული ანუ იმ კენჭისყრის და იმ დიალოგისა, რომელიც რეალურად ხდება, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. ანუ 99% უბრალოდ არ იცით რაზე ვთანხმდებით. იმას მოგვიანებით შედეგები გვაჩვენებს.

— იქნებ დაგვიხასიათოთ საქართველოს ებრაული თემი. გარდა იმისა, რომ ტრადიციების დამცველია, კიდევ თუ ჰპოვეთ რაიმე ღირსება ამ თემში?

— რამდენიმე ფაქტია, რომელიც პირველ რიგში, თვალში გხვდება, როდესაც დღესდღეობით უყურებ ებრაულ თემს, რომელიც არის საქართველოში. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ძალიან დიდი პატივისცემა და სიყვარულია არაებრაული მოსახლეობის მხრიდან ებრაული მოსახლეობის მიმართ საქართველოში. ზოგადად პატივისცემით ეკიდებიან ებრაელებს, იუდაიზმს, არაებრაელები საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ სადაც არ უნდა წახვიდე, იქნება ახალციხე, ონი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი თუ ბათუმი, თითქმის საქართველოს ნებისმიერ ადგილას იქ ახსოვთ ებრაული მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა იქ. თუმცა, ახლა მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი რამდენი პროცენტია დარჩენილი, მაგრამ 100 ათასი ადამიანიდან მთლიანად საქართველოში ალბათ 3-დან 5 ათასამდე მერყეობს დღესდღეობით ებრაული თემის რაოდენობა. ძალიან ბევრი ებრაელი წავიდა ისრაელში და სხვა ქვეყნებში და სადაც ჩავდივარ ხოლმე, აუცილებლად ვხვდები ჩემს მეგობრებს იქაური თემიდან და ძალიან მიყვარს მათთან შეხვედრა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დღესდღეობით თემი სულ უფრო და უფრო მცირდება. და ის ორი რამ, რაც ჩამოგთვალეთ, ახლა არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, მინდა აღვნიშნო, ისიც, რომ ეს ტენდენცია თემის შემცირებისა არ შეწყდება ანუ უკან აღარ დაბრუნდება არაფრისდიდებით. სავარაუდოდ, უფრო და უფრო შემცირდება ებრაული თემი საქართველოში, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად სახელმწიფოებს შორის უნდა გაძლიერდეს ურთიერთობა აღსანიშნავია, რომ ისრაელში, ებრაელები პოლონეთიდან, ერაყიდან, მაროკოდან, მოკლედ მთელი მსოფლიოდან ჩამოსულები. სწორედ ამიტომ აი, ეს ისტორიული მეგობრობა, რომელიც არსებობს საქართველოსა და ებრაელ ხალხს შორის უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ უკვე სახელმწიფოებს შორის იყოს ასეთი მეგობრობა ქვეყანამ ალბათ, უფრო მეტად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც არსებობს საქართველოში იქნას შენარჩუნებული სინაგოგების სახით, სასაფლაოების სახით თუ ა.შ. რასაკვირველია, ჩვენც ვცდილობთ მაქსიმალურად დავეხმაროთ საქართველოს ებრაულ თემს ამ მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

— რა რეკომენდაციებს მისცემდით საქართველოს ებრაელობას?

— მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მისცემს რეკომენდაციებს ებრაულ თემს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ახლო მეგობარი მყავს ებრაულ თემში. როგორც აღვნიშნე, სადაც არ უნდა წავიდე, ებრაულ თემში აუცილებლად ვხვდები ჩემ მეგობრებს. იქნება ეს გორი, ახალციხე, თუ ონი. ვესწრები ყველა ღონისძიებას, რომელსაც ატარებს ებრაული თემი დღესასწაულებზე. მივდივარ უბრალოდ მეგობრებთან ერთად, ვსხდებით და ვსაუბრობთ, მაგრამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ყოველთვის მხარს დავუჭერთ ერთმანეთს, როგორც ახლა არის, მაგრამ მომავალშიც სულ უფრო მეტად. უბრალოდ საინტერესოა იმის ნახვა როგორ გარდაიქნება ეს ისტორიული მეგობრობა ხალხებს შორის უკვე დღევანდელ რეალობაში, რა სახით წარმოგვიდგება ეს ისტორიული მეგობრობა უკვე მომავალში. თუმცა, მინდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ ყოველთვის ვიმეგობრებ ებრაულ თემთან და ზოგადად საქართველოსთან.

— ბოლოს დავამატებ, ძალიან დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის ამ ოთხი წლის განმავლობაში თქვენ პირადად და ასევე მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და აქედან მივმართო სათითაოდ ყველას, ვინც მოგვცა საშუალება, რომ ბევრი მეგობარი გაგვეჩინა, ბევრი პარტნიორი გაგვეჩინა აქ. დიდი მადლობა ყველას, ვინც გაგვიხსნა გული, სული და, რასაკვირველია, გვაზიარა ქართულ სამზარეულოს. ეს არის ის, რასაც ჩვენ წავიღებთ ისრაელში. არ არის ადვილი თქვა „ნახვამდის“, უთხრა „ნახვამდის“ ყველას, ვისთანაც ოთხი წლის განმავლობაში გქონდა შეხება, თუმცა, გარწმუნებთ, რომ ჩემი, როგორც ელჩის, აქედან წასვლით არანაირი კონტაქტი არ დაიკარგება. ჩვენ აუცილებლად ვიქნებით, ყოველთვის ჩემოვალთ საქართველოში და ყოველთვის დაგვაინტერესებს ეს ქვეყანა და რასაკვირველია, შევინარჩუნებთ მეგობრობას და შევინარჩუნებთ კონტაქტებს იმ ადამიანებთან, რომელთაც ახლო მეგობრებად მივიჩნევთ.

— დიდი მადლობა. გისურვებთ წარმატებებს მომავალ დიპლომატიურ სარბიელზე.

ჩაიწერა მარინე ვასაძემ

კონსტანტინე ლერნერი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი



საქართველოში აღზრდილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებათა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, დღეს კი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორის კონსტანტინე (კოტე) ლერნერის შრომები კარგადაა ცნობილი საქართველოს სამეცნიერო წრეებში. საქართველოსაც სტუმრობს, როცა მისი პროფილის სამეცნიერო კონფერენციები ტარდება და ერთობ საინტერესო მოხსენებებით წარსდგება ხოლმე აუდიტორიის წინაშე. მისი შრომები გამოდის ისრაელში, დიდ ბრიტანეთში და სხვ. ივნისში კი იგი განსაკუთრებული სიხარულით ჩამოვიდა თბილისში — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კოტე ლერნერი თავის უცხოელ საპატიო წევრად — აკადემიკოსად აირჩია.

17 ივნისს კოტე ლერნერს აკადემიაში გადასცეს საპატიო აკადემიკოსის დიპლომი, მას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა სამეცნიერო ბიოგრაფიისა მიულოცეს აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესეტაძემ, აკადემიკოსებმა თამაზ გამყრელიძემ, როინ მეტრეველმა, გუჩა კვარაცხელიამ და სხვ.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ კოტე ლერნერს მისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას, უსურვებს ჯანმრთელობას, სამეცნიერო წარმატებას. მან ქართველ ებრაელთა ისტორიის, განსახლების საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი საყურადღებო სტატია „მენორას“ ფურცლებზეც გამოაქვეყნა .

NCSEJ
NATIONAL COALITION SUPPORTING EURASIAN JEWRY

June 17, 2016

Elena Berkovich
Executive Director
Jewish Cultural Educational Foundation
Tbilisi
Republic of Georgia

Dear Elena:

On behalf of NCSEJ, we want to thank you for addressing the Board of Governors meeting on June 7.

Your presentation on Georgia's Jewish community – its history, and the government's relations with the community – was most informative. It provided our members with a greater understanding of the challenges and successes that the Jewish community in Georgia is encountering as it seeks to grow and prosper.

Thank you for sharing your time with us, and we look forward to continuing to work with you.

Sincerely,

Daniel Rubin, Chairman
Alexander Smukler, President
Mark B. Levin, Executive Vice-Chairman & CEO

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორს (თბილისი, საქართველო) ელენე ბერკოვიჩს

პატივცემულო ქალბატო ელენე,

კოალიციის სახელით მადლობას გიხდით 07 ივნისს მმართველი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისთვის.

თქვენი პრეზენტაცია საქართველოში ებრაული სათვისტომოს შესახებ - მისი ისტორიას, ისევე, როგორც ურთიერთობა ხელისუფლებასთან - იყო ყველაზე ინფორმატიული. პრეზენტაციამ საშუალება მისცა კოალიციის წევრებს უკეთესად გაეგოთ, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას, რა წარმატებებს მიაღწია და როგორ იზრდება და ვითარდება ებრაული თემი საქართველოში.

გმადლობთ, რომ დაგვითმეთ დრო და ვიმედოვნებთ, ჩვენი ერთობლივი მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

პატივისცემით,
დანიელ რუბინი, თავმჯდომარე
ალექსენდერ შმუკლერი, პრეზიდენტი
მარკ ბ.ლევინი, აღმასრულებელი ვიცე-თავმჯდომარე, დირექტორი

<u>ისრაელის ხელოვნება საქართველოში</u>

იოსებ ბარდანაშვილი (დაუსწრებლად) და არიელ ცუკერმანი კვლავ თბილისში არიან

საქართველოს მუსიკალურ წრეებში უკვე კარგად იცნობენ ისრაელელ დირიჟორს არიელ ცუკერმანს — ამ რამდენიმე წლის წინათ იგი იოსებ ბარდანაშვილის მუსიკალური თხზულების შესასრულებლად წარუდგა თბილისელ მსმენელს და მას შემდეგ არაერთხელ უდირიჟორნია ჩვენს დედაქალაქში. ქართველმა მსმენელმა შეიყვარა ეს ჩინებული ხელოვანი, მას დღეს ამ ქალაქში არაერთი ნიჭის დამფასებელი და მეგობარი ჰყავს. ამჯერად კი არიელ ცუკერმანი განსაკუთრებული მისიით წარუდგა თბილისელ მსმენელს-- საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პირველად უნდა შეესრულებინა იოსებ ბარდანაშვილის „კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის“ იოსებ ბარდანაშვილის ეს ნაწარმოები სხვა ქვეყნებში არაერთხელ შესრულებულა,თბილისში პირველად შესრულებისას სწორედ დირიჟორის ძალისხმევით კარგად გამოჩნდა ნაწარმოების ყველა ღირსება., კონცერტზე გამოვლინდა ახალგაზრდა ალტისტის გიორგი ცაგარელის შრომის ნაყოფი და ნიჭიერება — მან კომპოზიტორის ყოველი ბგერა ჩინებულად მიიტანა მსმენელამდე,თუმცა კომპოზიტორი შ.რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართულ ამ დიდებულ კონცერტს არ დასწრებია — როგორც ,,მენორას“ განუცხადა, ახლა თავისი ახალი ნაწარმოების რეპეტიციებით გახლდათ დაკავებული. ი. ბარდანაშვილის ახალი მუსიკალური თხზულების პრემიერა თელ-ავივში 23-24 ივნისს წარმატებით ჩატარდა.

არიელ ცუკერმანმა კონცერტის მეორე განყოფილებაში ნ. რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური სუიტა ,,შეჰერაზადას“ იმდენად კარგად უდირიჟორა, ვიოლინოს სოლო პარტიას ვიქტორ კანჟაევი ისე მაღალ დონეზე ასრულებდა, რომ ამ ჩინებული ნაწარმოებითა და შესრულებით მოხიბლული მაურებელი დიდხანს და აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს.

,,ვერტიგო-20“

მარიამ ალექსიძის მოღვაწეობა თანამედროვე ცეკვის ხელოვნებაში ქართული საშემსრულებლო ხელოვნების კიდევ ერთი ჩინებული ფურცელია. ახლახან ამ ჩინებულმა ხელოვანმა „თანამედროვე ცეკვის სამხრეთკავკასიური ფესტივალი“ წამოიწყო. ეს ფესტივალი თბილისში 12-14 ივნისს ჩატარდა მასში მონაწილეობდნენ პორტუგალიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი, ქართველი თანამედროვე ცეკვის ოსტატები. 13 ივნისს კი რუსთაველის თეატრის ხალხით გადაჭედილ დიდ დარბაზში ისრაელელი მოცეკვავენი გამოვიდნენ. „ვერტიგო-20“ სხეულის უნიკალური ენით იუმორითა და ძლივს შესამჩნევი სევდით გრანდიოზული რიტუალური დადგმა შემოგვთავაზა. ამიტომ იყო მაყურებელი ასე აღფრთოვანებული, ამიტომ უკრავდა ხანგრძლივად ტაშს ისრაელელ მოცეკვავეებს. სპექტაკლის ქორეოგრაფი გახლდათ ნოა ვერტჰაიმი, როგორც დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ადი შაალმა ,,მენორასთან“ საუბრისას განაცხადა, ეს ახალი დადგმა ,,ვერტიგოს“20 წლიან მოღვაწეობას აჯამებს, სპექტაკლი უკვე ოცი წელია თეატრის რეპერტუარშია.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

კ ო რ ა ხ ი

არიელ ლევინი

„და აიღო კორახმა...“ კვირის საკითხავი თავი „კორახი“ მოგვითხრობს იმ ჯანყზე, რომელიც წამოიწყო კორახმა ებრაელი ხალხის წინაძღვართა მოშესა და აჰარონის წინააღმდეგ და რომელიც აჯანყებულთათვის საშინლად დასრულდა. რა იყო მათი აჯანყების მიზეზი? კორახმა შეკრიბა 250 ადამიანი, რომელთაც ებრაელ ხალხში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ – ისინი ის პირველშობილნი იყვნენ, რომელნიც ლევიტებმა შეცვალეს გამჩენისადმი სამსახურის შესასრულებლად. აჯანყებულთა შორის იყვნენ ასევე დათანი და ავირამი, რომელნიც ჯერ კიდევ ეგვიპტიდან მოყოლებული მოშე რაბეინუს მტრები იყვნენ, და ონი პელეტის ვაჟი. კორახმა მათ განუცხადა: „ ყველა ებრაელი წმინდაა, რადგანაც გამჩენი ჩვენთანაა და რატომ მაინცდამაინც მოშე და აჰარონი არიან მომაღლებულნი, ანუ ასრულებენ სამსახურს მიშქანში (გადაადგილებად ტაძარში)? რატომ მიანდე შენ, მოშე მხოლოდ აჰარონსა და მის ვაჟებს ტაძარში გამჩენისადმი მსახურება, თუკი ამის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ებრაელს? ეს იმიტომ გაკეთე, რომ მომაღლებული, გამორჩეული იყვნენ ისინი წმინდა ისრაელის შვილებისაგან. გასაგებია, რომ აჯანყებულებს, გარდა იმისა, რომ სურდათ სიკეთე ებრაელი ხალხისათვის, საკუთარი მიზნებიც ჰქონდათ. დათანი და ავირამი ყოველთვის ეძებდნენ იმის მიზეზს, რომ ევნოთ რაიმე მოშე რაბეინუსათვის. 250 ადამიანი რეუბენის ტომიდან პირველშობილნი იყვნენ და გაუნაწყენდნენ წინამძღოლს იმის გამო, რომ მათთვის განკუთვნილი სამუშაო ლევიტებს გადასცეს. ხალხი იმის გამო წუხდა, რომ მზვერავების შეცოდების შემდეგ ისინი დაისაჯნენ და ვეღარ შევიდოდნენ ისრაელის მიწაზე, ყველა ვინც ამ შეცოდებაში იყო გარეული უდაბნოში მოკვდებოდა. მაგრამ რა არ ჰქონდა კორახს, რატომ აუმხედრდა მოშეს? ის ხომ მოშესა და აჰარონის ბიძაშვილი, თორის ბრძენი, უმდიდრესი ადამიანი იყო. ჩვენი ბრძენები გვიხსნიან, რომ მოშე ტომთა ხელმძღვანელებს ირჩევდა გამჩენის მითითებით და კეჰატის (ლევის ტომის 3 ოჯახიდან ერთ-ერთი) ოჯახისათვის დანიშნეს ელცაფანი უზიელის ვაჟი. კორახმა იფიქრა: მამაჩემს - იცაჰარს 3 ძმა ჰყავდა. პირველშობილ ამრამს 2 შვილი ჰყავს – ერთი მოშე მეფე გახდა, მეორე - აჰარონი კი – მთავარი ქოენი. მათ შემდეგ ხომ მე ვარ – მეორე ძმის შვილი, რატომ აირჩია მოშემ ელცაფანი – ყველაზე პატარა ძმის უზიელის ვაჟი ოჯახის ხელმძღვანელად?

ფირკეი ავოთში („მამათა შეგონებანში“) წერია: „ შური ვნებაზე უარესია და პატივისაკენ სწრაფვა განდევნის ადამიანს ამქვეყნიდან“, ისეთ ბრძენსაც კი, როგორიც კორახი იყო.

ხშირად ხდება, რომ მოშურნე ადამიანი საკუთარი თავისათვის სიკეთის მოტანაზე მეტად ცდილობს ავნოს მას, ვისიც შურს. მოგვითხრობენ ორ ადამიანზე, რომელთაც მეფე გადაარჩინეს: ერთმა ამისათვის იშრომა უფრო მეტად, ვიდრე მეორემ. მას, ვინც ნაკლებად იშრომა, მეფემ უთხრა: „აირჩიე ჯილდო, ოღონდ იცოდე, რომ მეორე იმავეს მიიღებს 2-ჯერ მეტს.“ იფიქრა მან, მე რომ მილიონი მოვითხოვო, მეორეს 2 მილიონს მისცემენ, ამას კი ვერ ავიტანო და ერთი თვალის დათხრა სთხოვა მეფეს.

ისრაელში ერთ მდიდარს ქალაქში ყველაზე ლამაზი ვილა ჰქონდა. მაგრამ, დახეთ უბედურებას, მეზობელმა უკეთესი ააშენა. მდიდარმა სამმაგი ფასი გადაიხადა ამ ვილაში იმისათვის, რომ დაენგრია.

კიდევ რამ იმოქმედა კორახზე? მან რუახ ჰაკოდეშით იცოდა, რომ შთამომავალთა შორის წინასწარმეტყველი შმუელი ეყოლებოდა. ამიტომ ფიქრობდა, რომ გაიმარჯვებდა და ცოცხალი დარჩებოდა. მაგრამ მიწამ პირი დააღო და ცოცხლად ჩაიტანა დათანთან და ავირამთან, მათ ოჯახებთან და მთელ ავლადიდებასთან ერთად.

აჯანყებულები ასე მკაცრად იმიტომ დაისაჯნენ, რომ აუმხედრდნენ გამჩენის მიერ გამოგზავნილ ადამიანს - მოშეს, რომლის მეშვეობითაც ის საკუთარ ნებას გადასცემდა ხალხს. რჩეულის წინააღმდეგ ამხედრებული მის გამომგზავნსაც უმხედრდება.

თორის 613 მცნებათაგან ერთ-ერთი გვეუბნება, რომ არ დავემსგავსოთ კორახს და მის თანამზრახველებს, არ ვიკამათოთ, არ ვიჩხუბოთ გამჩენის რჩეულ ებრაელ ხალხთან.

ელი ვიზელი



88 წლის ასაკში გარდაიცვალა ნობელის პრემიის ლაურეატი ელი ვიზელი — თანამედროვეობის გამოჩენილი ებრაელი მწერალი, შემოქმედი, რომელმაც მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა ტრაგედიის თემა. მას შემდეგ ამ თემაზე ბევრი მხატვრული ნაწარმოები დაიწერა, მაგრამ ელი ვიზელის ნაწარმოებები მარად დარჩება იმ მხატვრულ დოკუმენტად, რომელიც მომავალ თაობებს დაანახებს ფაშიზმის სახეს, იმ ტრაგედიას, რომელიც გამოიარა ებრაელმა ხალხმა.ამათ შორის თეატრალური სიცოცხლე მიენიჭა რომანს „ადამ ბენ ქელევ“ — „ძაღლის შვილი“ მე მქონდა ბედნიერება თელ-ავივში თეატრ „გეშერში“ მენახა ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმული სულისშემძვრელი სპექტაკლი. მისი ემოციური მუხტი დღესაც ქმედითია, რადგან ეს იყო ჭეშმარიტი ლიტერატურის ჭეშმარიტ თეატრალურ ენაზე გადატანის საუკეთესო ნიმუში.

ელი ვიზელის ერთ-ერთმა წიგნმა — „მდუმარების ებრაელები“, რომელიც მან 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ დაწერა, უზარმაზარი როლი ითამაშა საბჭოთა ებრაელობის მომავალი ბედი მსოფლიოს ებრაელობის მსჯელობის საგანი გამხდარიყო.

გურამ ბათიაშვილი

გვიყვარხართ და გვენატრებით!

ამ წერილით გვინდა ამჟამად ისრაელში – ქალაქ ბათ-იამში მცხოვრებ ყოფილ თანაქალაქელს, კოლეგასა და მეგობარს, ქალბატონ ლამარა ციციაშვილს შევეხმიანოთ. ქალბატონი ლამარა ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილებაში მისი დაარსების პირველივე წლებში მოვიდა და შეიძლება ითქვს, ერთბაშად მოინადირა თანამშრომელთა გული, იმდენად დაგვიახლოვდა, რომ უმისობა ვერც კი წარმოგვედგინა. მას მანამდე უკვე ცხოვრების საინტერესო მონაკვეთი ჰქონდა გავლილი თბილისსა და მოსკოვში, გახლდათ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ერთადერთი ქუთაისელი ქალბატონი, რომელიც ქართული ენციკლოპედიის მეექვსე ტომშია მოხსენიებული (გვ. 685), მაღალკვალიფიციური სამეცნიერო შრომების ავტორი. ჩვენთან– ქუთაისში თუ დედაქალაქში ყოველთვის იწონებდნენ და აფასებდნენ მის სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებშიც საგნის ცოდნასთან ერთად პროფესიული კეთილსინდისიერებაც კარგად ჩანდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წერის კულტურა, რაც "მშრალ" სამეცნიერო ნაშრომს მიმზიდველ წასაკითხს ხდიდა. ქალბატონი ლამარა მეცნიერულ კვლევას მშვენივრად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. ახლაც გულთბილად მოიხსენიებენ მას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტელი კოლეგები და ყოფილი სტუდენტები. იმის მიუხედავად, რომ იგი საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტი გახლდათ, ჰუმანიტარულ სფეროშიც განსწავლული იყო. ფართო ერუდიცია, კულტურასა და ხელოვნების დარგებში ღრმა წვდომის უნარი, მდიდრული ენით მეტყველება საშუალებას აძლევდა ნებისმიერ თემაზე საინტერესოდ ემსჯელა. უთუოდ დაგვეთანხმებით, სხვადასხვა გემოვნებისა და შეხედულებების ადამიანებთან ურთიერთობა რთული რამაა, მაგრამ ქალბატონი ლამარა ტაქტიანობისა და ზრდილობის განსახიერება გახლდათ, არ გვახსოვს ოდესმე რაიმე "შეშლოდეს", ამიტომაც კოლექტივის უმრავლესობა თავის მეგობრად თვლიდა. თავადაც სულით მაღალს ჰქონდა ადამიანის სულში წვდომის უნარი, იუმორის გასაოცარი ნიჭი, ცდილობდა მოსაუბრე კარგ განწყობაზე დაეყენებინა და ეს მშვენივრად გამოსდიოდა კიდეც.

განა ქალბატონი ლამარასა და მისი მეუღლის – ბატონი შოთა სეფიაშვილის დაშორება იქნება?! ბატონი შოთა ხომ ქუთაისის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალაქის ნამდვილი კოლორიტი ბრძანდებოდა. იგი არა მარტო კარგად იცნობდა ქართულ კულტურასა და პოეზიას, არამედ თავადაც შემოქმედი გახლდათ. მან ბევრი თბილი სტრიქონი მიუძღვნა ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვან მეგობრობას:

„ჭეშმარიტებას გვერდს ვერ აუვლი,
რომ ქვეყანაზე ერთი ღმერთია.
თუ ვინმე გიძმობს, შენც უნდა უძმო,
რა რწმენისაა, ეს სულერთია“.

ქალბატონი ლამარა და ბატონი შოთა საუკუნეებით ნაწრთობი ქართულ-ებრაული ურთიერთობის ნამდვილი განსახიერება გახლდნენ, საოცრად უყვარდათ და დღემდე უყვართ ყველაფერი ქართული დღეს ასე გავრცელებულ ტერმინ "ქართველ ებრაელთა" სიაში აუცილებლად ერთ–ერთი პირველთაგანი უნდა დავასახელოთ.

როცა დადგა დრო და ისრაელმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ თავის შვილებს მშობლიური წიაღისკენ მოუწოდა, ამ ხმამ ეს წყვილიც ააფორიაქა. კარგად გვახსოვს, როგორ განიცდიდა ამას ქალბატონი ლამარა, როგორ ყოყმანობდნენ, როგორ არ ეთმობოდათ მშობლიური საქართველო და ქუთაისი, ამიტომაც დასჭირდათ წლები ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ამ თემაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, კიდევ ერთხელ მაინც გვინდა ვთქვათ–თითქოსდა ამ ხალხის წასვლის შემდეგ უფრო უკეთ გავიგეთ მათი ფასი, ვიგრძენით ძვირფასი დანაკარგი, კიდევ უფრო დავახლოვდით. ისინი ხომ თითქმის მთელი ცხოვრება ჩვენს გვერდით იყვნენ, როგორ გაამდიდრეს ჩვენი ყოფა და კულტურა, რამდენი რამ შევითვისეთ ერთმანეთისაგან. განა არ შეეძლოთ რაიმეზე პრეტენზიები ჰქონოდათ? მაგრამ ღირსეული ერის შვილები ღირსეულად დაემშვიდობნენ ჩვენს ქვეყანას და დაგვიტოვეს დიდი სიყვარული, სითბო, მონატრება. კარგად ვიცით, რომ ახლაც ბევრს ფიქრობენ საქართველოზე, არ წყვეტენ ურთიერთობებს, არ ივიწყებენ ქართულ ენას, ცეკვას, სიმღერას, ტრადიციებს. როგორ გავიხარეთ, თუმცა სულაც არ გაგვკვირვებია, როცა შორეული ისრაელიდან სატელევიზიო ეკრანზე ბატონი შოთა ვიხილეთ, რომელიც აღშფოთებული ლაპარაკობდა იმ ვანდალიზმზე, როცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლიდან დიდი შოთა რუსთაველის ფრესკა გადაშალეს.

დიახ, ისინი ახლა ჩვენი შორეული ახლობლები არიან და გვჯერა, ასე იქნება მუდამ.

ქალბატონო ლამარა, ბატონო შოთა, თქვენ, ისრაელის მიწაზე მეცნიერებისა და კულტურის დესპანებად გვეგულებით.

გვიყვარხართ და გვენატრებით!

ყოფილი ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქუთაისის განყოფილების კოლექტივის სახელით –
მაყვალა იაშვილი; ონისე ბანძელაძე

ნინოწმინდაში MASHAV-ის პროგრამის დაფინანსებით ხეხილის ბაღი გაშენდება

30 ივნის ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა ნინოწმინდაში პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლაში“ ვიზიტის დროს ის ადგილი მოინახულა, სადაც წლის ბოლომდე 2 ჰექტარზე თანამედროვე ხეხილის ბაღი გაშენდება.

პროექტი დაფინანსებულია ისრაელის MASHAV-ის პროგრამის მიერ (მცირე გრანტები კურსდამთავრებულებისათვის), ისრაელის ერთ- ერთი მოწინავე კომპანია NETAFIM -ის მხარდაჭერით (საირიგაციო კომპონენტი). გრანტის მიმღებია საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ "ლაზარეს" მიერ დაფუძნებული პროფესიული კოლეჯი„ფერმერთა სკოლა“.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია კოლეჯის დირექტორი , 2015 წელს MASHAV-ის კურსდამთავრებული, ქალბატონი ლალი ალფაიძე

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში "მაშავის" 18 კურსი და კონსულტაცია ჩატარდა, რომელთა მიზანი სოფლის მეურნეობის განვითარება და "train the trainers"პროგრამების დანერგვა იყო ისეთ დარგებში, როგორებიცაა ირიგაცია, ბოსტნეულის მოყვანა სათბურებსა და ღია გრუნტში, მერძეველობა და ისრაელის ახალი ტექნოლოგიები. ბოლო წლების განმავლობაში "მაშავის" მიერ 600 ქართველ სპეციალისტს ჩაუტარდა ტრენინგები სოფლის მეურნეობის დარგში.

"მაშავი" ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოა, რომელიც 1957 წელს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდა მსოფლიოსთვის იმ ნოუ–ჰაუსა და ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, რომელმაც თავად ისრაელის მსწრაფი განვითარება გამოიწვია. მოკრძალებული პროექტი მოგვიანებით ფართომასშტაბიან პროგრამად გადაიქცა და განვითარებად სამყაროს სოციალურ, ეკონომიკურ თუ გარემოს დაცვის სფეროებში მდგრად განვითარებაში ეხმარება.

ისრაელში ქორწილი ექვსჯერ მეტი ჯდება, ვიდრე ევროპაში

ევროპიელები ქორწილში საშუალოდ 5 ათას ევროს ხარჯავენ, მაშინ როცა ისრაელელებს ქორწილი საშუალოდ 100-120 ათასი შეკელი უჯდებათ. აშშ-იც თითქმის იგივე მდგომარეობაა, როგორიც ისრაელში — ამერიკელები ქორწილში დაახლოებით 33 ათას დოლარს (120 ათასი შეკელი) ხარჯავენ. ისრაელში ქორწილთა 70-80% ზაფხულში (მაისი — სექტემბერი) იმართება.

ისრაელში 300 კაციანი ქორწილი დაახლოებით 100-140 ათასი შეკელი ჯდება. მხოლოდ დარბაზის დაქირავება ღირს 85.000 შეკელი. ქორწილში საჩურად შემოსული თანხა, მთლიანი ხარჯის 70-80% ფარავს.

მარსელის სინაგოგა მეჩეთად იქცა

ცნობა ევროპის ამათუ იმ ქვეყანაში სინაგოგის გაყიდვის თაობაზე, უკვე აღარავის აკვირვებს. შეიძლება ამ შემთხვევაში ინტერესი გამოიწვიოს მხოლოდ იმან, თუ ვინ არის ის, ვინც სინაგოგა შეისყიდა, ისე როგორც ეს მოხდა მარსელში. მარსელის თემმა სინაგოგა „ორ თორა“ 400 ათას ევროდ მიჰყიდა მუსლიმური კულტურის ასოციაციას „ალ ბადრი“. ამ ასოციაციას განზრახული აქვს ყოფილი სინაგოგა მეჩეთად აქციოს.

„ორ თორა“ 1962 წელს გაიხსნა აქ ძირითადად ალჟირიდან გამოსული ებრაელები ლოცულობდნენ. იმის გამო, რომ ებრაელები მარსელის ცენტრს სტოვებენ და ქალაქის გარეუბნებში იდებენ ბინას, „ორ თორაში“ მლოცველი გაიშვიათდა—ამ 250 ადამიანზე გათვლილი სინაგოგაში, მინიანიც კი ძლივს იკრიბებოდა. აქედან გამომდინარე, თემის ხელმძღვანელი რაბი ამარი პოზიტიურად მოეკიდა შენობის გაყიდვის საკითხს, მითუმეტეს რომ მარსელში 1990 წლიდან სინაგოგთა რაოდენობა გაიზარდა—იყო 32 სინაგოგა, დღეს—58. რაბი ამარმა ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვა: „ღმერთი ყველასთვის ერთია, მთავარია ცვლილებები ჰარმონიულად მიმდინარეობდეს“

დემოგრაფიული ცვლილებები კი მართლაც, თავის დღის წესრიგს გვკარნახობს: დღეს მარსელის მოსახლეობა 850 ათასი ადამიანია, ამათგან 220 ათასი ისლამის მიმდევარია. „ორ თორას“ მეზობლად მდებარე მეჩეთი პარასკევის ლოცვისას ხალხს ვერ იტევს და ბევრს შენობის გარეთ, ტროტუარზე უწევს ლოცვა.

საკითხი, მართლაც მწვავეა: საფრანგეთის ხუთმილიონიან მუსლიმურ მოსახლეობას აღარ ჰყოფნის ორიათას ხუთასი უკვე მოქმედი და 300 მშენებარე მეჩეთი. ამიტომ პარიზის მთავარი მეჩეთის იმამმა დალილ ბუბაკერმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გამოსთქვა მოსაზრება: შეიძლება კათოლიკური ტაძრების ვაქციოთო მეჩეთებად. ეს იდეა ბევრს არ მოეწონა, მათ შორის გახლდათ საფრანგეთის იმდროინდელი პრეზიდენტი სარკოზი. სინაგოგის მეჩეთად გადაქცევა კი, თუ გავითვალისწინებთ საფრანგეთის ებრაელობისა და მუსლიმების ურთიერთდამოკიდებულებას, კიდევ უფრო საჭოჭმანო საკითხია—იგივე რაბი ამარმა ამ რამდენიმე თვის წინათ მარსელის ებრაელობას გამოუცხადა შექმნილი მტრული სიტუაციის გამო შეგიძლიათ ქალაქში უქუდოდ იაროთო, თუმცა, საფრანგეთის მთავარი რაბინი ხაიმ კორსია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა.

მარსელის 70 ათასიანი ებრაული თემი საკმაოდ ტრადიციულია—აქ ძალიან ცოტაა შერეული ქორწინება. ქალაქის ებრაელი ბავშვების თითქმის მესამედი ებრაულ მსკოლებში სწავლობს. მეორე მესამედი კი ამათუიმ ებრაულ განათლებას ღებულობს.

თუ მლოცველთა დიდი ნაწილი საცხოვრებლად სხვა რაიონში გადავიდა, ებრაული კანონი სინაგოგის გაყიდვას დასაშვებად მიიჩნევს. დღეს ეთნოსებს შორის ერთობ რთული მოვლენები ხდება: ამერიკის პატარა ქალაქ რესტოში (ვირჯინიის შტატი) მუსლიმები ებრაული თემის თანხმობით სალოცავად სინაგოგას იყენებენ. მას შემდეგ, რაც ექსტრემისტებმა კანადის ქალაქ პიტერბოროში მეჩეთი გადაწვეს, ებრაელებმა მუსლიმებს უფლება მისცეს თავიანთ სინაგოგაში მათაც ჩაატარონ ღვთისმსახურება. ასეთ შემთხვევაში რაბინები ესაიას სიტყვებს იხსენებენ: „ ჩემი სახლი ყველა ხალხის სალოცავი სახლი იქნება.“ ნიუ-იორკის ბრონქსის რაიონში კი პირიქითაა: შეიხ მუსა დარამის ინიციატივით, მეჩეთში „მაჯიდ ალ იმანი“ ხაბადის მინიანს სალოცავი ადგილი გამოუყვეს. ევროპაში სულ სხვა სიტუაციაა, თუმც, ბელგიის ქალაქ არლონში მუსლიმები პაწია ებრაულ თემს 1865 წელს აშენებული ძველი სინაგოგის აღსადგენად ფინანსების მოზიდვაში ეხმარებიან. ანალოგიურად მოიქცა ბრიტანეთის ქ. ბრედფორდის მუსლიმური თემი—ისინი ერთობ მცირერიცხოვან ებრაულ თემს ასევე სინაგოგის რეკონსტრუქციისათვის ფინანსების მოზიდვაში ეხმარებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეს ცალკეული შემთხვევებია, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევები იძლევა იმის იმედს, რომ სხვადასხა ეთნიკური, კონფესიური ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა არ გადაგვარებულა.

„საქართველოს ებრაელობის ისტორიისა და კულტურის ფურცლები“

ჩვენმა გაზეთმა მკითხველს უკვე აუწყა, რომ მოსკოვში გამოიცა რუსეთის მეცნიერ მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებლებში იუდაიკის პედაგოგთა ცენტრის — ,,სეფერის“ და მეცნიერებათა აკადემიის სლავიანთამცოდნეობის ინსტიტუტის კრებული ,,საქართველოს ებრაელობის ისტორიისა და კულტურის ფურცლები“, მაგრამ მაშინ კრებულზე არ გაგვაჩნდა სრულყოფილი ინფორმაცია და მისი გამოცემის ფაქტის კონსტანტაციით დავკმაყოფილდით.

კრებული ეძღვნება ჯემალ აჯიაშვილისა (1944-2013) და შოთა ბოსტანაშვილის (1948-2013) ხსოვნას.კრებულის კოლეგიის წევრები არიან: მ.კუპავეცკი, ვ.მოჩალოვა, მ.ჩლენოვი (პასუხისმგებელი რედაქტორი) და ა. შაევიჩი.

კრებულის შესავალი წერილი ეკუთვნის პროფესორ მიხეილ ჩლენოვს.

გთავაზობთ კრებულში შესული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალს: კ. ლერნერის ,,საქართველოს ებრაელები. აკულტაცია ასიმილაციის გარეშე (ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე),“ ელდარ მამისთვალაშვილის ,,ქართველი ებრაელები: ეთნოგრაფია (დასახლებები, განათლება და აღზრდა)“, მარკ კუპავეცკის ,,კახეთის ებრაელები XIV-XV11 საუკუნეებში)“, შოთა ბოსტანაშვილის ,,საქართველოს სინაგოგები“, გურამ ლორთქიფანიძის ,,საქართველოსი ებრაელთა გალუთის საარქივო მასალები“, ლელა წიწუაშვილის „საქართველოს ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა (საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები)“, ნატალია კაშინსკაიას ,, ეპიგრაფიკული ექსკურსია მთის სოფელ ლაილაშში“, მაჩეი ვონსის ,,ებრაელები საქართველოში და მათი ,,პოლონური წიგნები“, ამავე ავტორის — ებრაელის სახე კავკასიის პოლონურ აღწერილობაში“, სვეტლანა ამოსოვას, მარია ვიატჩინას და ელენა სობანცევას ,,ებრაელები ან ექიმები იყვნენ, ან ნოქრები. (საქართველოს ებრაელობაზე ნაამბობნი)“, ანასტასია ჩიჟოვას საქართველოს ქრისტიანული და იუდეველთა თემების ურთიერთობა (213 წლის ექსპედიციის დაკვირვებანი).

კრებულის გამოცემა განხორციელდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის, ფონდ ,,გენეზისის“, UJA—federationof Nev-york-ის ფინანსური მხარდაჭერით. გულსატკენია, რომ ქართველი ებრაელობის ისტორიის, კულტურის შესწავლისათვის ამ მეტად მნშვნელოვანი გამოცემის დამფინანსებელთა შორის არ არის ქართველ ებრაელთა არცერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

უნდა იყოს, უსათუოდ უნდა იყოს, კია, მაგრამ...

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003